

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16 / 01 2017 წ.

თბილისი

№ 12

2017 წლის 16-17 იანვარს სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიების
განხორციელების შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. 2017 წლის 16 იანვრის 18:00 საათიდან 17 იანვრის 06:00 საათამდე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიება.

მუხლი 2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიების ორგანიზება და განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში დაევალოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ტერიტორიულ ორგანოებსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფებს თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით.



მუხლი 3. სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღოს ამ ბრძანების მე-5 მუხლით განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

მუხლი 4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სპეციალური ღონისძიების საერთო კოორდინაცია უზრუნველყოს და აღნიშნულ ღონისძიებაში ამ ბრძანების მე-5 მუხლით გათვალისწინებული გეგმის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა.

მუხლი 5. სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანოებმა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტთან კოორდინაციით შეიმუშაონ და დაამტკიცონ სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიების საიდუმლო გეგმა.

მუხლი 6. სპეციალური საპოლიციო კონტროლის ღონისძიებაში მონაწილე სამინისტროს მოსამსახურეებმა:

ა) მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ შესაბამისი სამსახურებრივი ფორმის ტანსაცმლითა და ჩართული ვიდეოგადამღები ტექნიკით;

ბ) განახორციელონ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებები, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა) პირის ზედაპირული შემოწმება ტარდება მხოლოდ ტანსაცმლის გარე ზედაპირზე ხელის, სპეციალური ხელსაწყოთა ან საშუალების შეხებით;

ბ.ბ) ნივთის ან სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერება ტარდება მხოლოდ ნივთის ან/და სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერებით, ხოლო სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – საბარგულის ვიზუალური დათვალიერებით;

ბ.გ) თუ ზედაპირული შემოწმების დროს წარმოიშვა ჩხრეკის საფუძველი, პოლიციელი ატარებს ჩხრეკას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

გ) დანაშაულის ან სხვა სახის სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 7. სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა მოსამსახურეებმა უზრუნველყონ „საპოლიციო პრევენციული ღონისძიების განხორციელების ზოგიერთი წესის განსაზღვრების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 აპრილის №290 ბრძანებით გათვალისწინებული წესებისა და მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 8. ბრძანების შესრულების კონტროლი დაევალოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.



მუხლი 9. დაევალოს სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ

დავალებათა დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი მოსამსახურეებისათვის ამ ბრძანების გაცნობა.

მუხლი 10. ბრძანება ამოქმედდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი



გიორგი მღებრიშვილი